# კროსვორდი ქანდაკების შესახებ

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

**მიზანი:** კროსვორდი მოსწავლეებში ქანდაკების შესახებ წინარე ცოდნის გააქტიურებას ემსახურება.

**დავალება:** კითხვების დახმარებით კროსვორდი შეავსეთ ჰორიზონტალურად.

**მინიშნება:** კროსვორდის მთავარი სიტყვა (ვერტიკალური სვეტი) ლათინურად ქანდაკებას აღნიშნავს.

---

## კროსვორდის შესავსებად განკუთვნილი კითხვები

1. რა ეწოდება ქანდაკებას, რომელსაც ადამიანის თავი და ლომის სხეული აქვს?

2. ვინ არის საქართველოში მრგვალი ქანდაკების ფუძემდებელი? (დაწერეთ გვარი)

3. რა ეწოდება ქანდაკებას, რომლის განთავსების ადგილი, დანიშნულების მიხედვით, დახურული სივრცეა (მუზეუმი, გალერეა, ისტორიული სასახლე)?

4. რა ეწოდება სიბრტყეზე გამოსახულ სკულპტურულ გამოსახულებას?

5. რა ეწოდება არქიტექტურულ საფუძველს, რომელზეც მონუმენტური ან დაზგური ქანდაკება დგას?

6. რა ეწოდება ქანდაკებას, რომელიც ღია სივრცეში (პარკი, სკვერი, ქუჩა) დასადგმელად არის განკუთვნილი?

7. რა ეწოდება ადამიანის ზედა ტანის გამოსახულებას?

8. რომელი მთავარი ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს მოქანდაკემ სკულპტურის ღია სივრცეში დადგმისას?

9. რა ეწოდება ქალის ქანდაკებას, რომელიც სვეტის ფუნქციას ასრულებს?


1
2
3
4
5
6
7
8
9

პასუხები:

1. სფინქსი;
2. ნიკოლაძე
3. დაზგური;
4. რელიეფი;
5. პოსტამენტი;
6. მონუმენტი;
7. ბიუსტი;
8. გარემო;
9. კარიატიდა.